

სკოლა _____ კლასი _____

სახელი _____ გვარი _____

ტელეფონი _____

ამოცანა 1: A პუნქტიდან B პუნქტამდე

A პუნქტიდან გამოდის ნიკა და მიემართება B პუნქტისკენ. ზუსტად იგივე დროს B პუნქტიდან A პუნქტისკენ გამოდის ლუკაც. ისინი ერთმანეთს ხვდებიან A პუნქტიდან 140 მეტრში და შეუჩერებლად აგრძელებენ გზას. აღწევნა და დანიშნულების ადგილს, შეუჩერებლად ბრუნდებიან უკან და კიდევ ერთხელ ხვდებიან ერთმანეთს უკვე B პუნქტიდან 80 მეტრში. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში არც ნიკას და არც ლუკას სიარულის სიჩქარეები არ იცვლება.

კარგად გაიაზრეთ ზემოთ მოცემული ინფორმაცია და შეეცადეთ, უპასუხოთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს.

1. მართალია თუ არა, რომ პირველი შეხვედრისას ბიჭებს ერთად ჯამში გავლილი აქვთ მთლიანი მანძილი A-დან B-მდე? (პასუხი დაასაბუთეთ).

პასუხი _____

2. რომელი მანძილი უფრო დიდია, ის რაც ბიჭებმა გაიარეს ერთად ჯამში მოძრაობის დაწყებიდან პირველ შეხვედრამდე თუ პირველი შეხვედრიდან მეორე შეხვედრამდე, რამდენჯერ? (პასუხი დაასაბუთეთ).

პასუხი _____

3. ნიკამ გაზომა დრო მოძრაობის დაწყებიდან პირველ შეხვედრამდე, ხოლო ლუკამ - დრო მოძრაობის დაწყებიდან მეორე შეხვედრამდე. რამდენჯერ უფრო მეტია ლუკას მიერ გაზომილი დრო? (პასუხი დაასაბუთეთ).

პასუხი _____

4. რას უდრის მანძილი A პუნქტიდან B პუნქტამდე? (პასუხი დაასაბუთეთ).

პასუხი _____

ამოცანა 2: კუბი

კუბის წახნაგებზე დაწერილია რიცხვები 1-დან 6-მდე. კუბი შეიძლება ისე დადო, რომ ერთდროულად მის სამ გვერდს უყურებდე.

ნიკას წინ კუბი ისე დევს, რომ ნიკა ხედავს მის იმ გვერდებს, რომლებსაც აწერია 1, 2 და 3.

ზუსტად ასეთივე კუბი დევს ლუკას წინაც და ის ისეთი კუთხით უყურებს, რომ ხედავს რიცხვებს 4, 1 და 5.

ანას წინ მდებარე ასეთივე კუბზე ჩანს რიცხვები 2, 6 და 4.

რა რიცხვები წერია ამ კუბის იმ წახნაგებზე, რომლებიც მდებარეობენ იმ წახნაგების მოპირდაპირე მხარეს, რომლებსაც აწერია 1 და 2? (პასუხი დაასაბუთეთ).

ამოცანა 3: რომელი უფროსია?

ელენეს და მისი მშობლების დაბადების დღე ერთმანეთს ემთხვევა. შარშან ამ დღეს დედა იყო ელენეზე ზუსტად სამჯერ უფროსი. წელს კი ელენე მამაზე ზუსტად სამჯერ უმცროსია.

რომელი უფროსია, ელენეს დედა თუ მამა და რამდენი წლით? (პასუხი დაასაბუთეთ).

ამოცანა 4: ბავშვების ასაკები

ოჯახში 4 ბავშვია – ანა, ელენე, სალომე და ნიკა. ბავშვების ასაკებია 5, 8, 13 და 15 წელი. რომელი ბავშვი რამდენი წლისაა, თუ ვიცით, რომ:

- ანა ნიკაზე უფროსია;
- ერთი გოგონა საბავშვო ბაღში დადის;
- ანასა და ელენეს ასაკებს თუ შევკრებთ, მიღებული რიცხვი 3-ზე გაიყოფა. (პასუხი დაასაბუთეთ).

ამოცანა 5: ორი მეგობარი

ქალაქის ქუჩების ერთ მხარეზე სახლებს კენტი ნომრები აქვთ, ხოლო მეორე მხარეზე – ლუნი. ქუჩის დასაწყისში ერთ მხარეს (როგორც წესი, მარჯვენა მხარეს) არის სახლი ნომერი 1, მის მოპირდაპირედ კი, ქუჩის გადაღმა, სახლი ნომერი 2.

ქუჩის მარჯვენა მხარეს კენტი ნომრები გრძელდება (1, 3, 5, 7 და ა.შ.), ხოლო მარცხენა მხარეს – ლუნები (2, 4, 6, 8 და ა.შ.).

ნიკა და თედო ქუჩის ერთ მხარეს ცხოვრობენ. თედო უფრო ახლოსაა ქუჩის ბოლოსთან, ანუ მისი სახლის ნომერი უფრო დიდია, ვიდრე ნიკას სახლისა.

ნიკამ თავისი სახლის ნომერს დაუმატა თედოს სახლის ნომერი და ყველა იმ სახლის ნომერი, რომელიც მათ სახლებს შორისაა (ქუჩის იგივე მხარეზე) და მიიღო რიცხვი 85.

კარგად გაიაზრეთ ზემოთ მოცემული ინფორმაცია და შეეცადეთ, უპასუხოთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს.

1. ქუჩის რომელ მხარეს ცხოვრობენ ბიჭები? (პასუხი დაასაბუთეთ).

პასუხი _____

2. მე-5 და მე-17 სახლებს შორის ზუსტად შუაში არის მე-11 სახლი, რადგან ეს სახლი თანაბრად არის დაშორებული როგორც მე-5, ისე მე-17 სახლიდან. მე-9 და მე-19 სახლებს შორის კი ასეთი სახლი არ არის, რადგან მე-13 სახლი უფრო ახლოს არის მე-9-სთან, ხოლო მე-15 სახლი კი უფრო ახლოსაა მე-19-სთან. შეიძლება თუ არა, რომ სახლი, რომლის ნომერია 21, იყოს ნიკასა და თედოს სახლებს შორის ზუსტად შუაში? (პასუხი დაასაბუთეთ).

პასუხი _____

3. როგორ ფიქრობთ, ნიკასა და თედოს სახლებს შორის არის თუ არა ზუსტად შუაში რომელიმე სახლი და თუ ასეთი სახლი არის, რა იქნება მისი ნომერი? (პასუხი დაასაბუთეთ).

პასუხი _____

4. რომელ ნომერ სახლებში ცხოვრობენ ნიკა და თედო? (პასუხი დაასაბუთეთ).

პასუხი _____
